წინამდებარე აქციის წესები მოქმედია 2024 წლის 13 სექტემბრიდან

აქციის აღწერა

წინამდებარე წესებით აღწერილ აქციაში (შემდგომში: „აქცია“) მონაწილეობის მისაღებად მომხმარებელმა უნდა განათავსოს ფსონები www.betlive.com-ზე არსებულ სლოტ თამაშებში (შემდგომში: „სლოტები“), დღის 06:00 საათიდან - მეორე დღის 05:59 საათამდე (შემდგომში: „სააქციო დღე“). ამ პერიოდში მომხმარებლის მიერ განთავსებული ფსონების ჯამურ რაოდენობას გამოაკლდება ამავე პერიოდში მის მიერ მოგებული თანხები. მომხმარებელი მიიღებს დაანგარიშებული სხვაობის შესაბამის Cashback-ის პროცენტს. Cashback-ის პროცენტი მომხმარებელს ამოუვა 3 ბილეთიდან ერთ-ერთის გახსნის შედეგად.

მაგალითად: თუ 2024 წლის 01 სექტემბრის 06:00 საათიდან - 2024 წლის 02 სექტემბრის 05:59 საათამდე მომხმარებელი სლოტებში განათავსებს ფსონს ჯამში 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით, და მიიღებს მოგებას 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, ხოლო ბილეთების გახსნის შემდეგ ამოუვა 10% Cashback-ის პროცენტი, მომხმარებლის მიერ მისაღები Cashback-ის თანხა განისაზღვრება 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით (3000 – 500)*10%): განთავსებული ფსონების რაოდენობისა (3 000) და დაფიქსირებული მოგების (500) სხვაობა (2 500) გამრავლებული Cashback-ის პროცენტზე (10/100).

აქცია დაიწყება 2023 წლის 18 სექტემბერს და დასრულდება 2024 წლის 16 ოქტომბერს.

ორგანიზატორის გადაწყვეტილების საფუძველზე აღნიშნული აქცია შესაძლებელია დასრულდეს ვადაზე ადრე.

წინამდებარე აქციაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ის მოთამაშეები, რომლებიც www.betlive.com-ზე რეგისტრირებულნი არიან და გავლილი აქვთ იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის პროცედურები (მათ შორის SMS ვერიფიკაცია) საქართველოს კანონმდებლობისა და შპს „ბეთლაივის“ წესების შესაბამისად.

წინამდებარე აქციაში მონაწილეობა შესაძლებელია, თუ დღის 06:00 საათიდან - მეორე დღის 05:59 საათამდე სლოტების თამაშისას დადებული ფსონის ოდენობის თანხისა და მომხმარებლის მიერ მიღებული მოგების სხვაობა შეადგენს 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარიდან - 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარამდე. ორაზროვნების გამოსარიცხად ფსონში იგულისხმება როგორც მომხმარებლის მიერ განთავსებული ფსონი, ასევე მომხმარებლის მიერ შეძენილი ან თამაშის დროს დაჭერილ ბონუსი, ხოლო მოგებაში ასევე იგულისხმება როგორც მომხმარებლის მოგება, ასევე მომხმარებლის მიერ მოგებული ჯეკპოტის თანხა.

ორგანიზატორის ვებ გვერდზე www.betlive.com რამდენიმე Cashback აქციის არსებობის შემთხვევაში, დღეში შესაძლებელია მხოლოდ ერთ Cashback აქციაში მონაწილეობა.

შენიშვნა N1: წინამდებარე აქციის ფარგლებში მონაწილეობს მხოლოდ ისეთი ფსონები, რომელთა დადების (დაჭერის) შედეგად დადგა შედეგი: მოგება ან წაგება. ამასთან, იმ შემთხვევაში, **თუ სააქციო დღეს მომხმარებლის მიერ განთავსებული ყველა ფსონის შედეგად**

არ დადგა შედეგი (მოგება ან წაგება) მომხმარებელი ვეღარ მიიღებს მონაწილეობას აქციაში და ავტომატურად გამოეთიშება აქციას.

მაგალითად: თუ მომხმარებელმა სააქციო დღეს განათავსა ფსონი 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით, რის შემდეგაც დამდგარმა მოგებამ შეადგინა 500 (ხუთასი) ლარი, ხოლო იმავე სააქციო დღეს მომხმარებელმა დამატებით განათავსა ფსონი 100 (ასი) ლარის ოდენობით რომელ ფსონზეც არ დადგა შედეგი (მოგება ან წაგება), მომხმარებელი შესაბამის სააქციო დღეს ავტომატურად გამოეთიშება წინამდებარე აქციას.

შენიშვნა N2: თუკი მომხმარებელი შეიძენს ან დაიჭერს ბონუსს, რომელსაც მისი შეძენის ან დაჭერის სააქციო დღეს არ გამოიყენებს, მომხმარებელი ამ სააქციო დღეს აქციას ავტომატურად გამოეთიშება.

მაგალითად: თუ მომხმარებელმა სააქციო დღეს განათავსა ფსონი 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით, და მისმა მოგებამ შეადგინა 700 (შვიდასი) ლარი. ხოლო, შემდეგ მომხმარებელმა დამატებით, სააქციო დღეს შეიძინა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის (ღირებულების) ბონუსი, თუმცა ბონუსის შეძენის სააქციო დღეს (05:59 საათამდე) იგი არ გამოიყენა (არ გაათამაშა), მომხმარებელი ავტომატურად გამოეთიშება წინამდებარე აქციას ბონუსის შეძენის სააქციო დღეს, მიუხედავად მის მიერ სააქციო დღეს განთავსებული ფსონის ოდენობისა.

ამასთან იმ შემთხვევაში თუ შეძენილ ბონუსს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით მომხმარებელი გაათამაშებს სააქციო დღის მომდევნო დღეს, და მიიღებს მოგებას მაგალითად, 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, ბონუსიდან მიღებული სარგებელი, 50 (ორმოცდაათი) ლარი, ჩაეთვლება იმ სააქციო დღის მოგებაში, როდესაც მიიღო მოგება. თუმცა ბონუსის თანხა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით არ იქნება მხედველობაში მიღებული არც ერთ დღეს.

შენიშვნა N3: მომხმარებლის მიერ მიღებული მოგება გულისხმობს იმ თანხების ჯამს, რომელიც სააქციო დღეს, სლოტებში განთავსებული ფსონის შედეგად დაფიქსირდა როგორც მოგება. ყოველგვარი ბუნდოვანების გამოსარიცხად, იგი გულისხმობს ასევე მომხმარებლის მიერ მოგებულ ჯეკპოტს.

განთავსებულ ფსონსა და დაფიქსირებულ მოგებას შორის სხვაობის კალკულაციის მიზნებისთვის, მოგებად ჩაითვლება ასევე სააქციო დღეს გათამაშებული იმ ბონუსიდან მიღებული მოგება, რომელი ბონუსიც რომელიმე განვლილ/დასრულებულ სააქციო დღეს იქნა შეძენილი ან დაჭერილი, მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელი ასეთი ბონუსის შეძენის/დაჭერის სააქციო დღეს გამოეთიშა წინამდებარე აქციას.

შენიშვნა N4: შპს „ბეთლაივი“ უფლებამოსილია ყოველი შემთხვევა განიხილოს ინდივიდუალურად და საკუთარი კეთილი ნების საფუძველზე, ზემოთ დასახელებული შენიშვნა N1-სა და შენიშვნა N2-გან განსხვავებული წესით, მიიღოს მომხმარებლისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება.

მაგალითად: სააქციო დღის დასრულებამდე, 05:58 საათზე მომხმარებელმა დაიჭირა ბონუსი, თუმცა აქციის დასრულებამდე (05:59 საათამდე) ვერ მოასწრო აღნიშნული ბონუსის გამოყენება, რის გამოც, წინამდებარე წესების თანახმად, დადებული ფსონის (ბონუსის)

სრულად არ გათამაშების საფუძვლით, იგი უნდა გამოეთიშოს აქციას. შპს „ბეთლაივის“ კეთილი ნებით, საკითხისა და მომხმარებლის ქცევის ძირეული მოკვლევის შემდეგ, შესაძლებელია შპს „ბეთლაივის“ გადაწყვეტილებით მომხმარებელი არ გამოეთიშოს აქციას.

ბილეთის გახსნა

ყოველდღე, 12:00 - 23:59 საათამდე მომხმარებელს გაუაქტიურდება 3 (სამი) სხვადასხვა ბილეთი, სადაც, თითოეულ ბილეთზე, განთავსებულია მისაღები Cashback-ის პროცენტების 3 (სამი) სხვადასხვა ვარიანტი და მისი შესაბამისი, მომხმარებლის მიერ ინდივიდუალურად მისაღები თანხა, რომელიც წინა დღის 06:00 საათიდან მეორე დღის (ბილეთების გააქტიურების დღის) 05:59 საათამდე სლოტების თამაშისას დაგროვდა (იხილეთ ფოტო N1).

შენიშვნა N5: ბილეთების გააქტიურების შემდეგ, მომხმარებელმა სასურველი ბილეთი უნდა აირჩიოს არაუგვიანეს ბილეთის გააქტიურების დღის 23:59 საათისა.

ფოტო N1 - ბილეთების გააქტიურების ვიზუალი

(ფოტოზე განთავსებული Cashback-ის პროცენტები და მისი შესაბამისი თანხები წარმოდგენილია პირობითად)

მომხმარებელმა პირველ რიგში უნდა აირჩიოს სასურველი ბილეთი. ბილეთები რისკის მიხედვით იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- Low Risk ბილეთი (იხ. ცხრილი N1) - მისაღები Cashback-ის პროცენტები შეადგენს 10%, 12%, 15%-ს.
- Medium Risk ბილეთი (იხ. ცხრილი N2) - მისაღები Cashback-ის პროცენტები შეადგენს 8%, 15%, 25%-ს.
- High Risk ბილეთი (იხ. ცხრილი N3) - მისაღები Cashback-ის პროცენტები შეადგენს 5%, 25%, 100%-ს.

მომხმარებელი, მიუხედავად იმისა თუ რომელ ბილეთს აირჩევს, გარანტირებულად იღებს შესაბამისი ბილეთის მინიმალურ Cashback-ის პროცენტს, თუკი არ მოიპოვებს უფრო მაღალ Cashback-ის პროცენტს.

მაგალითად: Medium Risk ბილეთის არჩევის შემთხვევაში, მომხმარებელი მიიღებს Cashback-ს ან 8%-ის, ან 15%-ის ან 25%-ის ოდენობით, თუმცა აუცილებლად მინიმუმ 8%-ის ოდენობით.

მომხმარებელი, სასურველი ბილეთის არჩევის შემდეგ ირჩევს უკვე არჩეულ ბილეთზე არსებული 3 (სამი) უჯრიდან ერთ-ერთს, რის შემდეგაც მომხმარებელი მიიღებს შერჩეულ უჯრაზე არსებულ Cashback-ის პროცენტსა და მის შესაბამის თანხას (იხილეთ ფოტო N2).

ფოტო N2 - ბილეთისა და უჯრის შერჩევის, Cashback-ის ამოსვლის ვიზუალი



(ფოტოზე განთავსებული Cashback-ის პროცენტები და მისი შესაბამისი თანხები წარმოდგენილია პირობითად)

ფოტო N2-ზე არსებულ შემთხვევაში, მომხმარებელმა აირჩია Medium Risk ბილეთი და ამოუვიდა Cashback 25%-ის ოდენობით, რაც მომხმარებლის ინდივიდუალურ შემთხვევაში შეესაბამებოდა 1250 (ათას ორას ორმოცდაათი) ლარს.

Cashback-ის პროცენტის ამოსვლის რიგითობა

თითოეულ ბილეთზე განთავსებული Cashback პროცენტების ამოსვლის რიგითობა შემდეგია:

ცხრილი N1 (Low Risk)

ცხრილი N1 - ში მოცემული Cashback პროცენტის ამოსვლის რიგითობები მოქმედებს მაშინ, როცა მომხმარებელი აირჩევს Low Risk ბილეთს.

Cashback 10%	ყოველი 200 გახსნიდან	ყველა დანარჩენი გახსნა
Cashback 12%	ყოველი 200 გახსნიდან მე-	99
Cashback 15%	ყოველი 200 გახსნიდან მე-	100

ცხრილი N1-ის შესაბამისად, Low Risk ბილეთის არჩევის შემთხვევაში მომხმარებელი ყველა შემთხვევაში მოიგებს Cashback 10%-ს, თუკი მომხმარებელს არ ამოუვა Cashback 12% ან Cashback 15%. . Cashback 12% ამოდის ამ ბილეთის ყოველი 200 გახსნიდან 99-ე, ხოლო Cashback 15% ამოდის ამ ბილეთის ყოველი 200 გახსნიდან მე-100.

მაგალითად: მომხმარებელი, რომელიც 99-ე გახსნის Low Risk ბილეთს, მიიღებს Cashback-ს 12%-ის ოდენობით, ხოლო მომხმარებელი, რომელიც მე-100 გახსნის ბილეთს, მიიღებს Cashback-ს 15%-ის ოდენობით. ვინაიდან ბილეთის გახსნები იანგარიშება ყოველი 200-ის პრინციპით, მომხმარებელი რომელიც 299-ე გახსნის ბილეთს, მიიღებს Cashback-ს 12%-ის ოდენობით, ხოლო მომხმარებელი, რომელიც მე-300 გახსნის წინამდებარე ბილეთს, მიიღებს ასევე Cashback-ს 15%-ის ოდენობით. ყველა სხვა, ვინც ვერ მიიღებს Cashback-ს 12% ან 15% ოდენობით, მიიღებს Cashback-ს 10%-ის ოდენობით.

შენიშვნა N4: ბილეთის გახსნა გულისხმობს მომხმარებლების მიერ კონკრეტული ბილეთის (Low Risk; Medium Risk, High Risk) არჩევას და მასზე არსებული სამი უჯრიდან ერთ-ერთის გახსნას, რის შემდეგაც მომხმარებლები იღებენ გახსნილ უჯრაზე ამოსულ Cashback-ის პროცენტს. აღნიშნული შენიშვნა ვრცელდება სამივე (Low Risk, Medium Risk, High Risk) ბილეთზე/ცხრილზე.

ცხრილი N2 (Medium Risk)

ცხრილი N2 - ში მოცემული Cashback პროცენტის ამოსვლის რიგითობები მოქმედებს მაშინ, როცა მომხმარებელი აირჩევს Medium Risk ბილეთს.		
Cashback 8%	ყოველი 200 გახსნიდან	ყველა დანარჩენი გახსნა
Cashback 15%	ყოველი 200 გახსნიდან მე-	10

Cashback 25%	ყოველი 200 გახსნიდან მე-	13

ცხრილი N2-ის შესაბამისად, Medium Risk ბილეთის არჩევის შემთხვევაში, მომხმარებელი ყველა შემთხვევაში მოიგებს Cashback 8%-ის ოდენობით, თუკი მომხმარებელს არ ამოუვა Cashback 15% ან Cashback 25%. Cashback 15% ამოდის ამ ბილეთის ყოველი მე-200 გახსნიდან მე-10, ხოლო Cashback 25% ამოდის ამ ბილეთის ყოველი მე-200 გახსნიდან მე-13.

მაგალითად: მომხმარებელი, რომელიც მე-10 გახსნის Medium Risk ბილეთს მიიღებს Cashback-ს 15%-ის ოდენობით, ხოლო მომხმარებელი, რომელიც მე-13 გახსნის ბილეთს, მიიღებს Cashback-ს 25%-ის ოდენობით. ვინაიდან ბილეთის გახსნები იანგარიშება ყოველი 200-ის პრინციპით, მომხმარებელი, რომელიც 210-ე გახსნის ამ ბილეთს, მიიღებს Cashback-ს 15%-ის ოდენობით, ხოლო მომხმარებელი, რომელიც 213-ე გახსნის ამ ბილეთს, მიიღებს Cashback-ს 25%-ის ოდენობით. ყველა სხვა, ვინც ვერ მიიღებს Cashback-ს 15% ან 25%-ის ოდენობით, მიიღებს Cashback-ს 8%-ის ოდენობით.

ცხრილი N3 (High Risk)

ცხრილი N3 - ში მოცემული Cashback პროცენტის ამოსვლის რიგითობები მოქმედებს მაშინ, როცა მომხმარებელი აირჩევს High Risk ბილეთს.		
Cashback 5%	ყოველი 200 გახსნიდან	ყველა დანარჩენი გახსნა
Cashback 25%	ყოველი 200 გახსნიდან მე-	17
Cashback 100%	ყოველი 200 გახსნიდან მე-	25

ცხრილი N3-ის შესაბამისად, High Risk ბილეთის არჩევის შემთხვევაში, მომხმარებელი ყველა შემთხვევაში მოიგებს Cashback 5%-ს, თუკი მომხმარებელს არ ამოუვა Cashback 25% ან Cashback 100%. . Cashback 25%ამოდის ამ ბილეთის ყოველი მე-200 გახსნიდან მე-17, ხოლო Cashback 100% ამოდის ამ ბილეთის ყოველი მე-200 გახსნიდან 25-ე.

მაგალითად: მომხმარებელი, რომელიც მე-17 გახსნის High Risk ბილეთს, მიიღებს Cashback-ს 25%-ის ოდენობით, ხოლო მომხმარებელი, რომელიც 25-ე გახსნის ამ ბილეთს, მიიღებს

Cashback-ს 100%-ის ოდენობით. ვინაიდან ბილეთის გახსნები იანგარიშება ყოველი 200-ის პრინციპით, მომხმარებელი, რომელიც 217-ე გახსნის ბილეთს მიიღებს Cashback-ს 25%-ის ოდენობით, ხოლო მომხმარებელი, რომელიც 225-ე გახსნის ბილეთს, მიიღებს Cashback-ს 100%-ის ოდენობით. ყველა სხვა, ვინც ვერ მიიღებს Cashback-ს 25% ან 100% ოდენობით, მიიღებს Cashback-ს 5%-ის ოდენობით.

Cashback-ის დარიცხვის ვადა

მომხმარებლის მიერ მიღებული Cashback აისახება მომენტალურად, მომხმარებლის betlive.com-ის პირად ბალანსზე.

დამატებითი წესები და პირობები:

- betlive.com იტოვებს უფლებას, ნებისმიერ დროს შეცვალოს აქციის წესები და პირობები, შეწყვიტოს ან გააუქმოს ნებისმიერ ეტაპზე მიმდინარე აქცია და ამის შესახებ წინასწარ არ შეატყობინოს მომხმარებლებს.
- სადავო სიტუაციის წარმოშობის შემთხვევაში კომპანია betlive.com იტოვებს უფლებას, თავად მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.
- თუ მომხმარებლის მხრიდან დაფიქსირდება არასამართლიანი/არაკეთილსინდისიერი ქმედება, ან თუ აქციის პირობები სრულად არ იქნება დაცული, betlive.com იტოვებს უფლებას, მომხმარებელს არ დაურიცხოს ბონუსი.
- დაუშვებელია მომხმარებლის მხრიდან განზრახ ისეთი მანიპულაციური ქმედებების განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს სარგებლის მიღებას. ასეთ შემთხვევაში betlive.com უფლებას იტოვებს შეზღუდოს მომხმარებელი და არ დაურიცხოს ნებისმიერი სახის ბონუსი.
- ტექნიკური ხარვეზის შედეგად მიღებული ნებისმიერი პრიზი ან/და მოგება ანულირდება და მომხმარებელს არ აქვს უფლება ორგანიზატორისგან მოითხოვოს ტექნიკური ხარვეზის შედეგად მიღებული ნებისმიერი პრიზის ან/და მოგების გადაცემა.

აღნიშნული აქცია ორგანიზატორის გადაწყვეტილებით შეიძლება გაგრძელდეს დამატებით, დასრულდეს ვადაზე ადრე ან/და შეიცვალოს გასაცემი Cashback-ის პროცენტები, თუმცა მექანიკა დარჩება უცვლელი.